საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №397
2024 წლის 10 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 4301 – „ა(ა)იპ – ქუთაისის საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„661	4301	ა(ა)იპ – ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი“;

ბ) ბიუჯეტის განმკარგველის – 7326 – „სსიპ – სიმონ სხირტლაძის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

„2847	7327	სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოტევის საჯარო სკოლა;
2848	7328	სსიპ – ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ნამანევის საჯარო სკოლა“.“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**